



06.12.2013

ომბუდსმენი: "ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით საფუძვლიანი კითხვები არსებობს"

ახალი ამბები



შეუერთდი განხილვას

ამავე თემაზე

ხუდონჰესი - 35-წლიანი დილემა

არასამთავრობოები "ხუდონჰესის" აშენებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ ქართველი მწერლები ხელისუფლებას: "არ დაუშვათ ხაიშის დატბორვა!"

"მიუღებელია აზრიც კი ხაიშის წყალში ჩაძირვის შესახებ"

ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ორგანიზებით დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" კონფერენცია "ხუდონჰესის გამოწვევები"

მიმდინარეობს. კონფერენციაში "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები", "მწვანე ალტერნატივა", "გურამ თინიკაძის სახელობის სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი", "გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი", "ენერგეტიკოსთა კავშირი" და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

შეხვედრას დაესწრო სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც, რომელმაც ხუდონჰესის საკითხზე ისაუბრა და განაცხადა, რომ სახალხო დამცველის აპარატი ამ თემაზე მთავრობისთვის რეკომენდაციით მიმართვას გეგმავს. ნანუაშვილის განმარტებით, ის და აპარატის თანამშრომლები ამ საკითხს სწავლობენ, იყვნი უშუალოდ სვანეთშიც და უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში მთავრობას და საზოგადოებას ოფიციალურ პოზიციას გააცნობენ.

“ჩვენი პირველადი შეფასებით, ნამდვილად არსებობს საფუძვლიანი კითხვები ხუდონჰესის მშენებლობისთვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე დასრულებული სახით არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოსამზადებლად კი ჯერ ადმინისტრაციული წარმოებაც არ არის დაწყებული. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან კეთდება საჯარო განცხადებები ხუდონჰესის აშენების გარდაუვალობის თაობაზე, რაც, ჩემი აზრით, დაუშვებელია სანამ შესაბამისი დასკვნები არ იქნება წარმოდგენილი”, - განაცხადა სახალხო დამცველმა.

ნანუაშვილი ამბობს, რომ სახალხო დამცველის აპარატმა დღემდე ვერ მოიპოვა მოსახლეობის განსახლების გეგმისა და საკუთრების კომპენსაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

“ჩვენთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, სერიოზული და საყურადღებო ინფორმაცია, რომელზეც ასევე იქნება საუბარი ჩვენს რეკომენდაციებში. იმედი მაქვს, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება მზად იქნება მოისმინოს ის არგუმენტები, რომლებსაც ჩვენ წარმოვადგენთ”, - განაცხადა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, სახალხო დამცველის აპარატი ხუდონჰესის საკითხის გარდა, ზოგადად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებაზე მომავალ წელს მეტს იმუშავებს, მაგრამ ეს საკითხები ომბუდსმენის 2013 წლის

საპარლამენტო ანგარიშშიც მოხვდება.

“მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე დისკუსია გაგრძელდეს და მასში იყოს ჩართული ძალიან ბევრი საზოგადოებრივი ჯგუფი, რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობა. ყველა საკითხი კი გადაწყდეს კანონმდებლობის მაქსიმალური დაცვით”, - აცხადებს სახალხო დამცველი.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

Comment

Facebook social plugin

100 მგუნე ინჟინრები სიჩქარე
2 საათის განმავლობაში 1.5 ლარად

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასიის ხმები

